საქართველო

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 2/1397-14
21. 10. 2008

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო
მდივნის სამსახური

შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასასრულებლად, გიგზავნით, 2008 წლის 3 ოქტომბერს ხელმოწერილი "საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის (რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი) დაფინანსების ხელშეკრულების" ინგლისურენოვანი ორიგინალისა და ქართულენოვანი ოფიციალურად დამოწმებული ტექსტების ასლებს შესაბამისი უწყებების დასკვნებითურთ.

ამასთან, გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საქართველოს პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი.

დანართი:ტექსტურცელი.

ნინო კალანდაძე
მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

№ 2/1626
22. 10. 2008
47 ფურცელი

01/788
21. 10. 08

0118 თბილისი, შო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678
www. mfa.gov.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-02/9293 „3" 10 2008

ფრიად სასწრაფო

თქვენს № _____

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო კალანდაძეს

ქალბატონო ნინო,

დეპონირებისათვის გიგზავნით 2008 წლის 3 ოქტომბერს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის ხელმოწერილ "რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი"-ს დაფინანსების ხელშეკრულების ორიგინალს და მის არაოფიციალურ ქართულ თარგმანს.

დაფინანსების ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტი არის შელავათიანი, მისი ხანგრძლივობაა 20 წელი, შელავათიანი პერიოდი – 10 წელი. საპროცენტო განაკვეთი წლიური 0.75%, ვალდებულების გადასახადი სესხის აუთვისებელ თანხაზე წლიური არაუმეტეს 0.5%-ისა.

ამასთან გთხოვთ, უზრუნველყოთ "რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი"-ს დაფინანსების ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აღნიშნული პროექტის დაფინანსების ხელშეკრულების მიმართ ფინანსური ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და სავარაუდოა, რომ საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს.

დანართი:
1. „საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 2 ოქტომბრის №643 განკარგულების ასლი;
2. „ნ. გილაურისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 2 ოქტომბრის №477 ბრძანებულების ასლი;
3. "რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი"-ს დაფინანსების ხელშეკრულების ხელმოწერილი ორიგინალი ინგლისურ ენაზე და მისი არაოფიციალური ქართული თარგმანი;
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 30.09.08 წლის №01/23/13-7254 წერილის ასლი (1 გვერდი);
4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 30.09.08 წლის №17/2503/3-8 წერილის ასლი (1 გვერდი);
5. საქართველოს ეროვნული ბანკის 30.09.08 წლის №179/03 წერილის ასლი (1 გვერდი);
6. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 30.09.08 წლის №969-გ/08 წერილის ასლი (3 გვერდი);
7. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 30.09.08 წლის №2/16484-14 წერილის ასლი (2 გვერდი);
8. შეთანხმების ფურცელი (1 გვერდი).

პატივისცემით,

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
№ 19323/2-ფ
„3" 10 2008

ქ. თბილისი 0114, ჯ. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 446412, ფაქსი: 457442, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 446412, Fax: 457442. E-mail: info@mof.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

30 09 2008

№ 01/23/13 - 7254

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ა/წლის 29 სექტემბრის №07-02/9065 წერილით სამართლებრივ ექსპერტიზაზე განმეორებით წარმოდგენილი საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (IDA) შორის საქართველოს რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტთან დაკავშირებით გასაფორმებელი „დაფინანსების ხელშეკრულებისა" და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (IDA) და სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდს (MDF) შორის გასაფორმებელი „საპროექტო ხელშეკრულების" პროექტები და გაცნობებთ, რომ მათ მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

თინა ბურჯალიანი
მინისტრის პირველი მოადგილე

2715
01.10.08

საქართველო, ქ. თბილისი, 0146, რუსთაველის გამზირი №30. ტელ.: 75-82-34, 75-83-85, ფაქსი: 75-82-34, ელ.ფოსტა: info@justice
30 Rustaveli ave., 0146, Tbilisi, Georgia, Tel: 75-82-34, 75-83-85, fax: 75-82-34, E-MAIL: info@justice.gov.ge

FROM :

FAX NO. :

საქართველოს ეკონომიკური
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMIC
DEVELOPMENT OF GEORGIA

30. 09 2008 წ. № 14/2503/3-8

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ დ. გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენს მიერ გამოგზავნილი 2008 წლის 29 სექტემბრის №07-02/9065 წერილი, რომელიც ეხებოდა საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (IDA) შორის გასაფორმებელ "დაფინანსების ხელშეკრულების" და საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს შორის გასაფორმებელ "საპროექტო ხელშეკრულების" პროექტებს.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

2719
01.10.08

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. № 12
12, G. Chanturia Str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (995 32) 93 33 61, 98 43 11
Fax: 92 19 29, 93 28 61, 92 01 08

საქართველოს ეროვნული ბანკი

0105, თბილისი, დავითაძე 3/5
ტელ.: 99 65 05, ფაქსი: 981-93-46
ტელექსი: 212952 LEGAL GI
ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge
კოდი: 20110481

30.09.2008 № 179/03

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ დ. გვინდაძეს

თქვენს მწერლის 29 სექტემბრის N07-02/9065 წერილზე

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტთან დაკავშირებით გასაფორმებელი „დაფინანსების ხელშეკრულების" პროექტი საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (IDA) შორის და „საპროექტო ხელშეკრულების" პროექტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა (IDA) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული დოკუმენტაციის მიმართ საქართველოს ეროვნულ ბანკს თავის კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არა აქვს.

პატივისცემით,

დ. ამაღლობელი

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდი

MUNICIPAL DEVELOPMENT
FUND OF GEORGIA

№ 969-3/08

«30» 09 2008

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ დ. გვინდაძეს

თქვენს 3/წლის 29 სექტემბრის №07-02/9065 წერილზე

ბატონო დიმიტრი,

მუნიციპალური განვითარების ფონდმა განიხილა თქვენს მიერ მოწოდებული რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში გასაფორმებელი "დაფინანსების ხელშეკრულებისა" და "საპროექტო ხელშეკრულებათა" პროექტები.

საფინანსო ხელშეკრულების მე-18 და მე-19 პუნქტებში მგფ-ს დაარსებისა და წესდების დამტკიცების იურიდიული დოკუმენტების ჩამონათვალი ან სრულად უნდა მიეთითოს, ან მხოლოდ პირველი და აღინიშნოს, რომ შეტანილია ცვლილებები. წარმოგიდგენთ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 7 იანვრის №294 ბრძანებულებას და მასში შეტანილ ყველა ცვლილებას და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივლისის №118 დადგენილებას და მასში შეტანილ ცვლილებებს.

პატივისცემით,

ლაშა გოცირიძე
აღმასრულებელი დირექტორი

2729
02.10.08

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 15439-3
«01» 10 2008 წ.
ფინანსთა ოფიციალური _____

საქართველო, თბილისი 0105 იოსებ გურჯის 7ბ
ტელ: 943240, 942947, 923470 ფაქსი: 940439
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge; ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

7b, Yezim Gurji st. 0105 Tbilisi, Georgia
Tel: (995 32)943240, 942947; 923470 Fax: (995)940439
E-mail: mdf@mdf.org.ge, web site: www.mdf.org.ge

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 2/16484-14
30. 09. 2008

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გიგზავნით, „საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დაფინანსების ხელშეკრულების (რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი)“ პროექტზე საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას.

ამასთან გაცნობებთ, რომ „საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის საპროექტო ხელშეკრულების (რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი)“ პროექტი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, არ წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტს.

დანართი: 1 გვერდი

ნინო კალანდაძე
მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შთ ჩიტაძის 1. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678 www. mfa.gov.ge

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 419/14
30. 09. 2008

დასკვნა

„საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დაფინანსების ხელშეკრულების (რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი)“ პროექტზე

სამინისტრომ განიხილა „საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დაფინანსების ხელშეკრულების (რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი)“ პროექტი და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წარმოდგენილი ხელშეკრულების დადება.

ნინო კალანდაძე
მინისტრის მოადგილე

თბილისი, შინ ჩიტაძის 1. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678 www. mfa.gov.ge